ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია
გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური

წერილის ნომერი: **18-01183393983**
თარიღი: **05/12/2018**
პინი: **0164**

ადრესატი: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახური
მისამართი: შარტავას ქ. 7

გადაამოწმეთ: **document.municipal.gov.ge**

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურმა (შემდგომში მოხსენებული, როგორც ,,სამსახური'') განიხილა თქვენი 2018 წლის 04 დეკემბრის #60-0118338610 წერილი (AR1637613) და თანდართული დოკუმენტაცია, რომლითაც ითხოვთ მოქალაქე ზაზა ღვინიაშვილის მომართვის საფუძველზე, შპს ,,მაზთას'' საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (ქ. თბილისი, ბოგდან ხმელნიცკის ქ. #8-ის მიმდებარედ, ბერი გაბრიელ სალოსის გამზირის IV ჩიხი #2, ბერი გაბრიელ სალოსის გამზირის IV ჩიხი #4-ში ს.კ #01.17.11.026.125) (სსზ-1) მრავალფუნქციური შენობის (სასტუმრო) განთავსების მიზნით, მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დამტკიცების ეტაპზე, კომპეტენციის ფარგლებში, სამსახურის პოზიციის დაფიქსირებას მწვანე ნარგავებთან და გამწვანების პროექტთან დაკავშირებით.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად (საექსპერტო დასკვნა, ტოპო. გეგმა, ფოტოსურათები) ტერიტორიაზე არსებული მწვანე ნარგავების საერთო რაოდენობა შეადგენს 3 ძირს. ექსპერტის განმარტებით პროექტის განხორციელებას ხელ უშლის 1 (ერთი) ძირი #3 თუთის ხე (ხესა და მშენებარე შენობას შორის მანძილი არის 3 მეტრზე ნაკლები).

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე გაცნობებთ, რომ საქართველოს კანონის ,,ქალაქ თბილისის საზღვრებში და მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული მწვანე ნარგავებისა და სახელმწიფო ტყის ფონდის განსაკუთრებული დაცვის შესახებ'' (შემდგომში მოხსენებული, როგორც ,,კანონი'') მე-6 მუხლის მე-6 პუნქტისა და ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის #17-55 დადგენილებით დამტკიცებული ,,ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მწვანე ნარგავების დაცვის, მოვლისა და აღდგენის წესი''-ს (შემდგომში მოხსენებული, როგორც ,,დადგენილება'') 26-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,გ'' ქვეპუნქტის საფუძველზე მოსაჭრელი ხეების რაოდენობა არ უნდა აჭარბებდეს შესაბამის ტერიტორიაზე არსებული მერქნიანი მცენარეების 25%-ს. ხოლო, მწვანე ნარგავის მოჭრის შემთხვევაში ტერიტორიაზე მოიჭრება მწვანე ნარგავების 33.3% რითიც დაირღვევა კანონმდებლობა. ამდენად, სამსახური ვერ გასცემს თუთის ხის მოჭრის ნებართვას.

წინამდებარე ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი შესაძლოა გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), დაინტერესებული მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

პატივისცემით,

თამარ შარაშიძე

პირველადი სტრუქტურული ერთეულის
ხელმძღვანელი (საქალაქო სამსახურის უფროსი)
(მოვალეობის შემსრულებელი)

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი